

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 6

ქ. ლანჩხუთი

23.07.2021 წელი
11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე**.

კომისიის წევრები: ალექსანდრე მახათაძე, ზაალ სანაძე, ზაზა წულაძე, ზურა კუკულავა, ოთარ პატიეშვილი.

მოწვეული: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსი ომარ ჯანაძე. საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: გოგი მორჩილაძე, ირაკლი მარშანიშვილი, კარლო კვიციანიშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „სსიპ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის“-სთვის (ს/კ 203851509) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

3. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.
მომხრე 6; წინააღმდეგი -არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსმა ომარ ჯანაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულმა აუქციონატორმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავ ქონებაზე, კერძოდ (ს/კ 27.04.51.692); (ს/კ 27.02.41.366); (ს/კ 27.02.41.163); (ს/კ 27.02.41.367); (ს/კ 27.02.42.154) ორჯერ უზრუნველყო ელექტრონული აუქციონის მოწყობა - როგორც საწყისი საპრივატიზებო საფასურით, ასევე განმეორებითი 30%-ის შემცირებით, მაგრამ მიუხედავად ამისა მისი პრივატიზება არ განხორციელდა. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნულ მოძრავ ქონებაზე ისევ გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი, რომლის საფუძველზეც მომზადდა წარმოდგენილი პროექტი, სადაც ზემოაღნიშნული უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური 55%-ით შემცირდა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვამემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „სსიპ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის“-სთვის (ს/კ 203851509) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსმა ომარ ჯანაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა (კანცელარიის N 10-302116064-30) სსიპ „საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ“ (ს/კ 203851509) რომლითაც მოთხოვნილია ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩა N 76 - ში მდებარე, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის (ს/კ 27.06.52.002.01.500) პირველ სართულზე მდებარე N19 (19,67 კვ.მ) ფართის გამოყოფა საწყობის მოსაწყობად. აღნიშნული ფართი სსიპ-ს ესაჭიროება საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის. ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა სსიპ „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია“-ს (ს/კ 203851509) სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით ცსკოს არსებობის ვადით გადაეცეს ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩა N 76 - ში მდებარე, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის (ს/კ 27.06.52.002.01.500) პირველ სართულზე მდებარე N19 (19,67 კვ.მ) ფართი საწყობის მოსაწყობად.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვამემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6 , წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა.

ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას მართებულად მიაჩნია, რომ საბიუჯეტო თანხების ოპტიმალურად ხარჯვის მიზნით ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა ხიდეების დაპროექტება უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურმა.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ღანჩბეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:

 / გიორგი ჩახვიძე /

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ზუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №6

23.07.2021 წელი
11:00 საათი

მოგასვენებთ, რომ მიმდინარე წლის 23 ივლისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ზუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი სპარიატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „სსიპ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის“-სთვის (ს/კ 203851509) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი სპარიატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „სსიპ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის“-სთვის (ს/კ 203851509) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ზუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
 ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო
 ფურცელი

23.07.2021 წელი
 11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ჩახვაძე	11.00	<i>გი. ჩახვაძე</i>
2	ზაზა წულაძე	11.00	<i>ზ. წულაძე</i>
3	კარლო კვიციანიძე	11.00	<i>კ. კვიციანიძე</i>
4	ალექსანდრე მახათაძე	11.00	<i>ალ. მახათაძე</i>
5	ზაალ ხანაძე	11.00	<i>ზ. ხანაძე</i>
6	ოთარ პატიეშვილი	11.00	<i>ო. პატიეშვილი</i>
7	ზურაბ კუკულავა	11.00	<i>ზ. კუკულავა</i>
8	ირაკლი მარშანიშვილი	11.00	<i>ირ. მარშანიშვილი</i>
9	გოგი მორჩილაძე	11.00	<i>გ. მორჩილაძე</i>